საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 209/01
12/01/2022

209-01-2-202201121509

შპს „ივრის ნუშებს“
მის: სიღნაღის რაიონი, ს. ნუკრიანი, მე–2 ქ., N98

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 21 დეკემბერს N23370 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბოდბეში სამელიორაციო სისტემის მოწყობას და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და ასახული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2022 წელს იგეგმება გასაშენებელი ფართობის გაზრდა 100 ჰექტრამდე, კერძოდ, მეზობელი მიწის ნაკვეთის შემოერთება, რომლის შესყიდვაზეც დაწყებულია შესაბამისი პროცედურები. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდები, ასევე, საკუთრების ან იჯარის ხელშეკრულების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი და დაზუსტებას საჭიროებს წყლის შემკრები ავზის პარამეტრები (სიღრმე, ფართობი და ა.შ.), ასევე მოწყობის და ექსპლუატაციის ეტაპზე გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე (ნიადაგი, გრუნტის წყლები, ავზის მოწყობის ეტაპზე ამოღებული გრუნტის განთავსების შესახებ და ა.შ.) შესაძლო ზემოქედების შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს სამელიორაციო სისტემის მოწყობის და ექსპლუატაციის ეტაპზე ნარჩენების წარმოქმნის და მართვის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, წყალაღების წერტილი მდებარეობს იორის აღკვეთილის ტერიტორიაზე, შესაბამისად, წარმოდგენილ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან შესაბამისი შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ

წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით განახლებული სკრინინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე